ღანი

„ღანი“ – ღია კონკურსი ახალგაზრდა ხელოვანებისთვის

ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა; სიყუარული ნიშნავს ყოფნას ერთ სულად, ხოლო სიყუარული უფლისა, ამასთან ერთად გზაი არს განღმრთობისა“ (წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, ტ. II. გვ. 312)

„სიყვარული – განღმრთობის გზა“ წარმოადგენს კულტურულ და საგანმანათლებლო ინიციატივას, რომელიც მოიცავს სხვადასხვა საზოგადოებრივ აქტივობას: კონკურსებს, გამოფენებს, სპექტაკლებს, დისკუსიებსა და ლექციების ციკლებს.

ინიციატივა მიზნად ისახავს: სიყვარულის უნივერსალური და საღმრთო ბუნების შემეცნებას; განღმრთობის, როგორც ადამიანის სულიერი მდგომარეობის უმაღლესი ფორმის გააზრებას ამ ღირებულებების ხელოვნებაში ასახვას; ქართული სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის ტრადიციული ესთეტიკური ფორმებისა და თანამედროვე მხატვრული ხერხების გამოყენებით ხელოვნების ახალი ნიმუშების შექმნას.

ეს წამოწყება გახდება თანამედროვე ხელოვნებაში სულიერი ძიების, კულტურული მემკვიდრეობის ხელახალი გააზრებისა და მისი თანამედროვე ინტერპრეტაციის უნიკალური გამოცდილება.

„ღანი“

„ღანი“ არის პროექტი, რომელიც განკუთვნილია სტუდენტებისა და ახალგაზრდა ხელოვანებისთვის და წარმოადგენს ინიციატივის „სიყვარული — განღმრთობის გზა“ შემადგენელ ნაწილს.

პროექტის ორგანიზატორია თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია. ღონისძიების ძირითადი კომპონენტებია:

კონკურსი — იმართება სამ პროფესიულ მიმართულებაში: I-ქანდაკება, II-არქიტექტურა, III-ფერწერა, გრაფიკა;

გამოფენა — კონკურსის შედეგად შერჩეული ნამუშევრების ერთობლივი პრეზენტაცია;

დაჯილდოება — თითოეულ მიმართულებაში გამარჯვებულების გამოვლენა და პრიზების გადაცემა.

საკონკურსო თემად შერჩეულია: ქართული ასომთავრული ასონიშანი „***ღანი***“ **(Ⴖ).**

კონკურსში მონაწილე ხელოვანებს უშუალოდ ღანის გრაფიკული გამოსახულების გარდა შეეძლებათ თემასთან დაკავშირებული სხვა ალეგორიული თუ მხატვრული სახეების გამოყენება. მათ მიეცემათ შესაძლებლობა, თავიანთ ნამუშევრებში გააერთიანონ ტრადიციული ტექნიკები და თანამედროვე ტექნოლოგიური მიდგომები.

ქართული დამწერლობა ეროვნული კულტურისა და კაცობრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიღწევაა. სამი ქართული ანბანიდან ასომთავრული გამოირჩევა თავისი გრაფიკული მონუმენტურობითა და სიმბოლური დატვირთვით. „***ღანი***“ **(Ⴖ)** - ანბანის რიგით 26-ე გრაფემაა და რიცხვითი მნიშვნელობით 700-ს უდრის. „***ღანი***“ **(Ⴖ)** კავკასიურ ასონიშანთა ჯგუფს მიეკუთვნება და უნიკალურია, რადგან სხვა ანბანებში მისი ანალოგი არ მოიძებნება.

ზოგიერთი მკვლევარი „***ღანს***“ **(Ⴖ)** ღვთის კარს უწოდებს. მისი მოხაზულობა თაღს, კარიბჭეს ან პორტალს მოგვაგონებს – სივრცეს, რომელიც აერთიანებს ზეციურსა და მიწიერს, მატერიალურსა და სულიერს.

პროექტი „ღანი“ გახდება პლატფორმა, სადაც ხელოვანები, მკვლევრები და ფართო საზოგადოება შეძლებენ სულიერი, ფილოსოფიური და შემოქმედებითი ხედვების გაზიარებასა და განახლებას.

საკონკურსო პირობები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია აცხადებს ღია კონკურსს სახელწოდებით **„ღანი“**, რომელიც ტარდება ინიციატივის „სიყვარული — განღმრთობის გზა“ ფარგლებში.

1.2. მოცემული საკონკურსო პირობები წარმოადგენს საფუძველს კონკურსის ჩატარებისთვის, საუკეთესო ნამუშევრების გამოსავლენად და გამოფენის მოსაწყობად. დოკუმენტი განსაზღვრავს კონკურსის მიზნებსა და ამოცანებს, მონაწილეობისა და განაცხადების წარდგენის წესს, შეფასების კრიტერიუმებს, პროექტის სტრუქტურასა და დაჯილდოების პრინციპებს.

1.3. ინფორმაცია კონკურსის შესახებ, პირობები და თანდართული დოკუმენტაცია განთავსდება თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის ოფიციალურ Facebook-გვერდსა და ვებგვერდზე - www.tasa.ge.

1.4. კონკურსი არის ღია და მასში მონაწილეობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე სტუდენტებსა და ახალგაზრდა ხელოვანებს, როგორც ინდივიდუალურად, ისე ავტორთა ჯგუფის სახით.

1.5. პროექტის ფარგლებში საპრიზო ფონდისთვის გამოყოფილი საერთო ბიუჯეტი შეადგენს 34 500 ლარს.

2. კონკურსის მიზანი:

2.1. კონკურსი მიზნად ისახავს ქართული ასომთავრული ანბანის ასონიშან **„ღანი“-ს (Ⴖ)** გრაფიკული და სიმბოლური ფორმის საფუძველზე განღმრთობისა და სიყვარულის სულიერ-ფილოსოფიური იდეის მხატვრულ ინტერპრეტაციას — არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების ენით.

3. კონკურსის ამოცანები

3.1. ასომთავრული ანბანის ასონიშანი **„ღანი“-ს (Ⴖ)** საფუძველზე ნამუშევრების შექმნა, რომელიც გამოხატავს სულიერ აღმასვლას და ადამიანის შინაგან გარდაქმნას - განღმრთობის იდეას.

3.2. ხელოვნებაში ღირებულებითი მნიშვნელობების გადმოცემა - მათ შორის ისეთი როგორიც არის სიყვარული.

3.3. ქართული კულტურული მემკვიდრეობის გაცოცხლება თანამედროვე ხელოვნებაში - ტრადიციული და თანამედროვე სახვითი ენების შერწყმით.

3.4. ახალგაზრდა ხელოვანების მხარდაჭერა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობის შექმნა.

3.5. საჯარო გამოფენის მოწყობა, სადაც მონაწილეები თავიანთ ნამუშევრებს ფართო აუდიტორიას წარუდგენენ.

4. კონკურსის სამი ძირითადი პროფესიული მიმართულებაა:

I. ქანდაკება

II. არქიტექტურა

III. ფერწერა, გრაფიკა

4.1. თითოეულ მონაწილეს/ჯგუფს შეუძლია წარადგინოს ერთი ნამუშევარი მხოლოდ ერთი ნამუშევარი კონკრეტული მიმართულებით.
4.2. ნამუშევრებში დასაშვებია როგორც ტრადიციული, ისე თანამედროვე/ციფრული მიდგომების გამოყენება.
4.3. კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად, მონაწილეებმა უნდა გაიარონ წინასწარი რეგისტრაცია (10 აპრილი– 31 მაისი) და შემდეგ წარადგინონ სრულად შევსებული განაცხადი შესაბამისი მასალებით (1 ივნისი– 1 აგვისტო).

5. კონკურსის სტრუქტურა

5.1. კონკურსი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

- წინასწარი რეგისტრაცია
- საკონკურსო ნამუშევრების წარდგენა
- ჟიურის მიერ I ეტაპის შეფასება
- მენტორების ჩართულობა
- ჟიურის მიერ II ეტაპის შეფასება და გამარჯვებულების გამოვლენა
- დაჯილდოება

5.2. კონკურსის ფარგლებში გაიმართება თემატური ლექციები და შეხვედრები, რომელთაც მონაწილეები სურვილისამებრ დაესწრებიან.
5.3. კონკურსის მიმდინარეობის შესახებ დეტალური და რეგულარულად განახლებადი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იქნება ორგანიზაციის ოფიციალურ Facebook-გვერდსა და ვებგვერდზე (www.tasa.ge).

6. წინასწარი რეგისტრაცია

6.1. რეგისტრაციის ვადაა: 2025 წლის 10 აპრილიდან 31 მაისის ჩათვლით;
6.2. რეგისტრაციის მიზანია დაინტერესებული პირებისთვის კომუნიკაციის უზრუნველყოფა კონკურსის ყველა ეტაპზე;

6.3. რეგისტრაცია ხორციელდება ელექტრონული ფორმით – სპეციალური ბმულის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდსა (www.tasa.ge) და სოციალურ ქსელში;

6.4. რეგისტრაციის გავლა არ ნიშნავს ავტომატურ მონაწილეობას კონკურსში – საჭირო იქნება სრული განაცხადის წარდგენა (იხ. კონკურსის კალენდარი).

7. პროფესიული მიმართულებები და მონაწილეობის პირობები

7.1. ქანდაკება

- მონაწილეობის უფლება აქვთ სტუდენტ და ახალგაზრდა მოქანდაკეებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად);
- თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი;
- მონაწილემ უნდა წარადგინოს ქანდაკების ესკიზი , რომელიც შექმნილია ასომთავრული ანბანის ასონიშანი „**ღანი“-ს (Ⴗ)** გამოსახულების საფუძველზე ან თემასთან დაკავშირებული ალეგორიული სიმბოლოების გამოყენებით. ნამუშევარში უნდა იკითხებოდეს ისეთი თემები როგორიცაა - სიყვარული, სულიერი აღმასვლა, ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა.

საკონკურსო მასალები:

- ქანდაკების ესკიზი 3-5 ფოტო სხვადასხვა რაკურსით (მინ. 300 dpi);
- ნამუშევრის კონცეფციის ტექსტური აღწერა (მაქსიმუმ 1 გვერდი);
- შევსებული განაცხადის ფორმა - დანართი 1;
- ციფრული ქანდაკების წარდგენის შემთხვევაში, მონაწილემ უნდა მიუთითოს, რა ტექნიკურ მხარდაჭერას საჭიროებს ნამუშევრის გამოსაფენად.

ყურადღება!

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს არც საავტორო მინაწერები, არც ბრენდირება.
- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან.

საგამოფენო მასალები:

ფიზიკური ქანდაკების ესკიზი:

- მაქსიმალური ზომა: 80 x 80 x 80 სმ.
- დასაშვები მასალები: ნებისმიერი მყარი ან ნახევრადმყარი მასალები.
- მოთხოვნები: ესკიზი უნდა იყოს ტექნიკურად მზად საექსპოზიციოდ.

ციფრული ქანდაკება:

- ფორმატები: 3D მოდელი, ვირტუალური ინსტალაცია;
- წარდგენის გზა: ვიდეო-პრეზენტაცია (mp4, არაუმეტეს 30 წამი); ფოტო: .png , .jpeg ფორმატები არაუმეტეს 4k გაფართოებისა (3840x2160).

7.2. **არქიტექტურა**

- მონაწილეობის უფლება აქვთ სტუდენტ და ახალგაზრდა არქიტექტორებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად);
- თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი;
- მონაწილემ უნდა წარადგინოს მედიათეკის კონცეპტუალური ესკიზური პროექტი, რომელშიც არქიტექტურულ-მხატვრული ხერხებით გახსნილი უნდა იყოს საკონკურსო თემატიკა - კერძოდ ასომთავრული ანბანის ასონიშანი „**ღანი“-ს (Ⴖ)** გამოსახულება ან თემასთან დაკავშირებული ალეგორიული სიმბოლოები. უნდა იკითხებოდეს ისეთი თემები როგორიცაა — სიყვარული, სულიერი აღმასვლა, ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა.

მედიათეკის პროექტი უნდა მოიცავდეს ძირითად ფუნქციურ ზონებს:

- მედია-საკითხავი დარბაზი – წიგნების, არქივების, აუდიო/ვიდეო მასალების ინდივიდუალური ან ჯგუფური მოსმენა/დათვალიერება.
- ინტერაქციული საგანმანათლებლო სივრცე – ლექციების, სემინარების, ვორქშოპებისა და მცირე ჯგუფური მუშაობისთვის.
- ღია საზოგადოებრივი სივრცე – ფოიე, შეხვედრების სივრცე, რეკრეაციული ზონა.
- ციფრული კვლევის ოთახები – კომპიუტერული სადგურებით, VR/AR ტექნოლოგიებით, მედია-ექსპერიმენტებისთვის.
- საგამოფენო გალერეა / სივრცე – დროებითი და მობილური ექსპოზიციების მოწყობის შესაძლებლობით.
- დამხმარე ზონები – ადმინისტრაცია, სანიტარული კვანძები, ტექნიკური სივრცეები.

საკონკურსო მასალები:

- მედიათეკის არქიტექტურული პროექტის გრაფიკული მასალა: გენგეგმა, გეგმები, ჭრილები, ფასადები, რენდერები (PDF ფორმატში);
- პროექტის კონცეფცია (მაქსიმუმ 1 გვერდი);
- შევსებული განაცხადის ფორმა – დანართი 1.

ყურადღება!

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს არც საავტორო მინაწერები, არც ბრენდირება.

- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან.

საგამოფენო მასალები:

სტანდარტული პრეზენტაცია (საბეჭდი ფაილები):

- ფორმატი: A0 (841 x 1189 მმ), ვერტიკალური განლაგებით, მაქსიმუმ 2 პლანშეტი (PDF ფორმატით)
- შინაარსი უნდა მოიცავდეს: გენგეგმა, ჭრილები, ფასადები, რენდერები მოკლე კონცეფცია (ტექსტი, მაქს. 1 გვერდი)

შენიშვნა: საგამოფენო პლანშეტი ფორმდება ორგანიზატორის მიერ განსაზღვრული მაკეტის მიხედვით; მისი ბეჭდვა უზრუნველყოფილი იქნება ორგანიზატორის მიერ. მონაწილეს წინასწარ მიეწოდება მაკეტის შაბლონი და განსაზღვრული ვადები მასალების გადასაცემად.

მაკეტი (სურვილისამებრ):

- მასალა და მასშტაბი – კონკურსანტის შეხედულებით
- მაკეტი უნდა იყოს მდგრადი და გამოფენისთვის მოსამზადებელი

7.3. **ფერწერა, გრაფიკა**

- მონაწილეობის უფლება აქვთ სტუდენტ და ახალგაზრდა მხატვრებს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად);
- თითოეულ მონაწილეს შეუძლია წარადგინოს მხოლოდ ერთი ნამუშევარი;
- მონაწილემ უნდა წარადგინოს მხატვრული ნამუშევარი (ფერწერა, გრაფიკა, შერეული ტექნიკა, ციფრული ხელოვნება), რომელიც შექმნილია ასომთავრული ანბანის ასონიშანი **„ღანი“-ს (Ⴖ)** გამოსახულების საფუძველზე ან თემასთან დაკავშირებული ალეგორიული სიმბოლოების გამოყენებით. ნამუშევარში უნდა იკითხებოდეს ისეთი თემები როგორიცაა — სიყვარული, სულიერი აღმასვლა, ადამიანის შინაგანი გარდაქმნა, განღმრთობა.

საკონკურსო მასალები:

- ნამუშევრის 1–3 ფოტო (მინ. 300 dpi);
- ნამუშევრის კონცეფციის ტექსტი (მაქსიმუმ 1 გვერდი);
- შევსებული განაცხადის ფორმა – დანართი 1;
- ციფრული ნამუშევრის წარდგენის შემთხვევაში, მონაწილემ უნდა მიუთითოს, რა ტექნიკურ მხარდაჭერას საჭიროებს ნამუშევრის გამოსაფენად.

ყურადღება!

- კონკურსანტის ინტერესებიდან გამომდინარე ნამუშევრებზე არ უნდა იყოს მითითებული ავტორის სახელი, ლოგო ან კონტაქტები. ფოტოზე არ უნდა გამოჩნდეს არც საავტორო მინაწერები, არც ბრენდირება.
- საკონკურსო ნამუშევარი არ უნდა გასაჯაროვდეს კონკურსის დასრულებამდე (25 ოქტომბერი), მათ შორის სოციალურ მედიაში, ვებსაიტზე ან სხვა არხებით; წინააღმდეგ შემთხვევაში მონაწილე შეიძლება მოიხსნას კონკურსიდან.

საგამოფენო ნამუშევარი:

- ტრადიციული/ფიზიკური ნამუშევრები:
- ტექნიკა: ფერწერა, გრაფიკა, შერეული ტექნიკა;
- ზომები: თავისუფალი, თუმცა ადეკვატური საგამოფენო სივრცესთან (რეკომენდებული მაქსიმუმი – 150 სმ ერთ მხარეზე);
- ნამუშევარი უნდა იყოს გამოფენისთვის მზად — ჩარჩოში ან პლანშეტზე წარმოდგენილი, ტექნიკურად გამართული სახით.

ციფრული ან მულტიმედიური ნამუშევრები:

- ფორმატები: ციფრული ფერწერა, ანიმაცია, გიფი, ვიდეოარტი, ინტერაქციული ნამუშევრები;
- წარდგენის გზა: ვიდეო-პრეზენტაცია (mp4, არაუმეტეს 30 წამი); ფოტო: .png , .jpeg ფორმატები არაუმეტეს 4k გაფართოებისა (3840x2160).

8. განაცხადების წარდგენა

8.1. განაცხადების მიღება მიმდინარეობს 2025 წლის 1 ივნისიდან 31 აგვისტოს 18:00 საათამდე;
8.2. საკონკურსო განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელ. ფოსტაზე: ghani@tasa.ge;
8.3. განაცხადი უნდა მოიცავდეს: შევსებულ დანართს (1), კონცეფციის აღწერასა და ნამუშევრის ფოტოებს;
8.4. განაცხადები უნდა მომზადდეს ქართულ ენაზე;
8.5. მონაწილე პასუხისმგებელია სრულყოფილი, ტექნიკურად და შინაარსობრივად გამართული საკონკურსო მასალების წარდგენაზე.
8.6. კონკურსის მონაწილე ორგანიზატორს გარანტიას აძლევს, რომ მასზე წარმოდგენილი ინფორმაცია სინამდვილეს შეესაბამება. კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე (მათ შორის პრიზების გადაცემისას) ყალბი ინფორმაციის გამოვლენის ან სხვისი ანგარიშის გამოყენების შემთხვევაში, ორგანიზატორს უფლება აქვს გააუქმოს მონაწილის რეგისტრაცია და უარი თქვას პრიზის გადაცემაზე.
8.7. მონაწილე რეგისტრირებულად ითვლება მას შემდეგ, რაც კონკურსის კოორდინატორი მიიღებს სწორად შევსებულ განაცხადს და დაადასტურებს მის მიღებას.

9. შეფასება და ჟიური

9.1. კონკურსის შეფასებას უზრუნველყოფს კონკურსის ფარგლებში სპეციალურად დაკომპლექტებული ჟიური, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია.
9.2. ჟიური ჩამოყალიბდება პროფესიული და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებისგან.
9.3. პროფესიული ჟიურის მიერ ხმის მიცემა — გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით, ჟიურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.
9.4. ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას, საკუთარი შეხედულებით მოხსნან პროექტი კონკურსიდან.

საკონკურსო ნამუშევრები შეფასება მიმდინარეობს ორ ეტაპად:

9.5. I ეტაპზე ჟიური განიხილავს და შეარჩევს არაუმეტეს 10 ნამუშევარს თითოეული მიმართულებიდან. ისინი მიიღებენ– „გამოფენის მონაწილის“ სტატუსს;
9.6. II ეტაპზე, გამოფენის ფარგლებში, ჟიური ფარული კენჭისყრით შეარჩევს თითოეული მიმართულების (I-ქანდაკება, II-არქიტექტურა, III-ფერწერა, გრაფიკა) გამარჯვებულებს – I, II და III ადგილის მიხედვით.

შეფასების კრიტერიუმებია:

- კონცეფციის სიღრმე და შინაარსობრივი კავშირი საკონკურსო თემასთან;
- ინოვაციური მიდგომა – რამდენად ახლებური და საინტერესოა ნამუშევრის ინტერპრეტაცია.
- ტექნიკური შესრულება – იდეის რეალიზაციის სიზუსტე და შესრულების ხარისხი.
- მხატვრული გადაწყვეტა – ვიზუალური ფორმის ესთეტიკა და შემოქმედებითი ხედვა.
- ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების რელევანტურობა (თუ გამოყენებულია).

10. მენტორების ჩართულობა

10.1. მენტორების ჩართულობა მოხდება 2025 წლის 15 აგვისტოდან 10 ოქტომბრის ჩათვლით და წარმოადგენს კონკურსის მეორე ეტაპის მნიშვნელოვან შემადგენელს.
10.2. მონაწილეები მიიღებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებებით: საკუთარი ნამუშევრის კონცეფციის გაღრმავება; მხატვრული გადაწყვეტის დახვეწა; საგამოფენო ნამუშევრის ტექნიკური შესრულების გაუმჯობესება;

11. გამოფენა

11.1 გამოფენა წარმოადგენს კონკურსის მეორე და დასკვნით ეტაპს და მიზნად ისახავს ფართო საზოგადოებისათვის კონკურსით შერჩეული ნამუშევრების წარდგენას.

11.2 გამოფენაში მონაწილეობს თითოეული მიმართულებიდან შერჩეული არაუმეტეს 10 მონაწილე, რომელთაც I ეტაპის შედეგად ჟიური გამოავლენს.

11.3 გამოფენისთვის მონაწილეებმა უნდა უზრუნველყონ თავიანთი ნამუშევრების საგამოფენო ვერსიების დროულად წარმოდგენა ორგანიზატორთან შეთანხმებული ფორმატითა და ტექნიკური პირობებით.

11.4 გამოფენის ფარგლებში მოეწყობა საჯარო დისკუსიები და ლექციები.

11.5 გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართება კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ გამოფენის ფარგლებში. ცერემონიის ზუსტი თარიღი გამოცხადდება დამატებით. ორგანიზატორები დროულად, ცერემონიამდე არაუგვიანეს ერთი კვირით ადრე, აცნობებენ ინფორმაციას მონაწილეებს.

12. დაჯილდოება:

12.1. გამოფენაში მონაწილე თითოეულ ავტორს გადაეცემა ერთჯერადი პრიზი 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

12.2. თითოეულ მიმართულებაში (არქიტექტურა, ქანდაკება, ფერწერა, გრაფიკა) გამოვლინდება გამარჯვებულები – I, II და III ადგილის მიხედვით. გამარჯვებულებს გადაეცემა ერთჯერადი ფულადი პრიზები:

I ადგილი — 5 000 ლარი

II ადგილი — 2 000 ლარი

III ადგილი — 1 000 ლარი

12.3. პრიზები გადაეცემა გამარჯვებულებს შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

შენიშვნა: პრიზის მისაღებად ავტორებთან იდება შესაბამისი ხელშეკრულება, რაც აუცილებელია თანხის გაცემისათვის.

13. საავტორო უფლებები

13.1. კონკურსზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი რჩება ავტორთა საკუთრებაში.

13.2. კონკურსის მონაწილე გარანტიას იძლევა, რომ წარმოდგენილ ნამუშევრებზე მას ეკუთვნის ავტორობა. ორგანიზატორს უფლება აქვს შეამოწმოს გამარჯვებული ნამუშევრის ავტორობა. მონაწილე ვალდებულია მიაწოდოს შესაბამისი ინფორმაცია. მესამე პირის ავტორობაზე პრეტენზიის შემთხვევაში ნამუშევარი იხსნება კონკურსიდან.

13.3. ორგანიზატორს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებით კონკურსში მონაწილე ნამუშევრები გამოიყენოს კონკურსის პრომო მიზნებისთვის – მათ შორის ელექტრონული თუ ბეჭდური პუბლიკაციებისთვის, სოციალური მედიისთვის და გამოფენისთვის მოსამზადებელ მასალებში. ასევე ნამუშევრები განათავსოს ოფიციალურ ვებგვერდზე - www.tasa.ge

14. კონკურსის კალენდარი

- კონკურსის ოფიციალური გამოცხადება – 2025 წლის 10 აპრილი;
- წინასწარი რეგისტრაცია – 2025 წლის 10 აპრილი – 31 მაისი;
- განაცხადების მიღება – 2025 წლის 1 ივნისი – 1 აგვისტო;
- I ეტაპის შეფასება – 2025 წლის 1–10 აგვისტო;
- მენტორების კონსულტაციები – 2025 წლის 15 აგვისტო – 10 ოქტომბერი;
- გამოფენა – 2025 წლის 15–25 ოქტომბერი;

15. საკონკურსო პირობების დამტკიცება

15.1. დოკუმენტი დამტკიცებულია თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაციის გადაწყვეტილებით და ძალაში შედის 2025 წლის 10 აპრილიდან.

- დამატებითი კითხვებისთვის დაუკავშირდით ასოციაციას

ელფოსტა: ghani@tasa.ge
ტელეფონი: (+995) 555 44 22 01

Tbilisi Architechts and Sculptors Association

თბილისის არქიტექტორთა და სკულპტორთა ასოციაცია